

**სახელმწიფო ენის 2021-2030 წლების ერთიანი პროგრამისა (სტრატეგიის) და 2021- 2022 წლების სამოქმედო გეგმის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების ანგარიში**

სახელმწიფო ენის 2021-2030 წლების სტრატეგია (ერთიანი პროგრამა) შეიქმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის კოორდინაციით, უწყებათაშორის საბჭოსთან თანამშრომლობით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობით.


საჯარო განხილვები, კონსულტაციები და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად წარიმართა. თუმცა, სახელმწიფო ენის პოლიტიკის დოკუმენტზე, სახელმწიფო ენის პროგრამაზე მუშაობა დეპარტამენტმა 2018 წელს დაიწყო. სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ამ პროცესში უზრუნველყო ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა.

სტრატეგიის შემუშავების (პოლიტიკის დაგეგმვის) ციკლი მოიცავდა სამ ეტაპს. პროცესის თითოეულ ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეებისა და პარტნიორების ფართო მონაწილეობა.

პრობლემური ველის კვლევისათვის ჩატარდა შეხვედრები აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით (თსუ არნ. ჩიქოვასას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი და სხვ.); დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად შეიქმნა სახელმწიფო ენის პროგრამის პროექტი (2018 წ.) და სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამუშაო კონცეფცია (2019). 2020 წლის იანვარში დეპარტამენტმა საქართველოს მთავრობას წარუდგინა განაცხადი სახელმწიფო ენის სტრატეგიის მომზადების შესახებ. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 სექტემბრის № 553-ე დადგენილებით შეიქმნა „2021–2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამისა (სტრატეგიის) და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო“ (შემდგომში უწყებათაშორისი საბჭო) და დამტკიცდა მისი დებულება. დოკუმენტზე მუშაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო სექტორისა და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები.

სტრატეგიის დაინტერესებული მხარეა საქართველოს მთელი მოსახლეობა, რადგან ის ეხმიანება და უპასუხებს ამ მოსახლეობის თითოეული წარმომადგენლის ენობრივ საჭიროებებს. დაინტერესებულ მხარეებად ითვლება ყველა, ვინც საქმიანობით უკავშირდება სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებს და მნიშვნელოვან მონაწილეობას მიიღებს მათ განხორციელებაში და ვინც ამ სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების შედეგები უნდა მიიღოს საზოგადოებრივი სიკეთის სახით.

სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასა და სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების გამოკვეთაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, მათ შორის, ქართული ენის სწავლების პროგრამების ხელმძღვანელებმა, ეროვნული საგამოცდო ცენტრის, მასწავლებლის სახლის, სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის წარმომადგენლებმა და პედაგოგებმა, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების თანამშრომლებმა. ამ შეხვედრების შედეგები აისახა სტრატეგიის შემუშავების ყველა ეტაპზე, როგორც პრობლემების ხის შემუშავებისას, ისე მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისას.



საჯარო კონსულტაციები დაიწყო 2020 წლის 30 სექტემბრიდან და დასრულდა 2021 წლის 26 ოქტომბერს. სტრატეგიის შემუშავების პირველ ეტაპზე შეიკრიბა უწყებათაშორისი საბჭო, რომლის წარმომადგენლებსაც ეცნობათ სახელმწიფო ენის სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ. უწყებათაშორისი საბჭოს წევრებმა უწყებებიდან გამოჰყვეს სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ კონსულტაციები პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, შეფასებისა და მონიტორინგის ძირითადი კრიტერიუმების შესახებ. თავის მხრივ, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს თავიანთი უწყებების ხედვა სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამდივნომ, რომელიც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბაზაზეა შექმნილი, ინდივიდუალურად გამართა შეხვედრები სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებთან პრობლემის ხის ასაგებად.

პრობლემებისა და გამომწვევი ფაქტორების ჩამოსაყალიბებლად სულ 20-მდე შეხვედრა გაიმართა. ამასთან, სამუშაო ჯგუფის წევრებს ეთხოვათ, საკუთარი უწყებების კომპეტენციის ფარგლებში წარმოედგინათ მოკლე აღწერა პრობლემებისა და გამომწვევი ფაქტორების შესახებ.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამდივნომ სტრატეგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციები გამართა ეუთოს წარმომადგენლებთან. ეუთომ რეკომენდაციები მისცა სამდივნოს, რაც გათვალისწინებულია როგორც სიტუაციის ანალიზის, ისე სტრატეგიის განხორციელების ნაწილში.

2020 წლის დეკემბერს საჯარო შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიასთან. სამუშაო ჯგუფის სახელით სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამდივნომ კომისიას გააცნო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და უწყებების მიერ შემოთავაზებული პრობლემების აღწერა. ექსპერტთა კომისიის წევრებს, რომლებიც დარგის სპეციალისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, ეთხოვათ შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმა და გამოგზავნა.

სტრატეგიის შემუშავების სიტუაციის ანალიზის მიმოხილვის ეტაპზე სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა რამდენიმე სემინარი ენობრივი პოლიტიკის საკითხებზე და საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანის, ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებას მიეძღვნა. სემინარებსა და კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები ასახულია სტრატეგიის ტექსტში. სტრატეგიის შემუშავების მესამე ეტაპი იყო მიზნებისა და ამოცანების ფორმირება და სამუშაო გეგმის შექმნა უწყებათაშორისო საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით.

2021 წლის 1 სექტემბერს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტრატეგიის ტექსტის სამუშაო ვერსია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს 13 სექტემბრის ჩათვლით შეეძლო შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოგზავნა. სტრატეგიის საბოლოო საჯარო განხილვა გაიმართა დისტანციურად, zoom-ის პლატფორმაზე სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის გაფართოებული სხდომის ფორმატით. შეხვედრაზე წინასწარ დარეგისტრირდა 65-მდე მონაწილე, თუმცა შეხვედრას გაცილებით მეტი ესწრებოდა, მათ შორის: სახელმწიფო ენის ექსპერტთა

კომისიის წევრები, უწყებათაშორისი საბჭოს წარმომადგენლები, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები მთელი საქართველოს მასშტაბით, სფეროთი დაინტერესებული სხვა პირები. შეხვედრა 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და პრაქტიკულად განხილული იყო სტრატეგიის ყველა ამოცანა.

შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამდივნომ 30-მდე წერილი მიიღო. ყველა წერილს ინდივიდუალურად გაეცა პასუხი.

სფეროს წარმომადგენლების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით გაგრძელდა საჯარო კონსულტაციები 26 ოქტომბრამდე. გაიმართა 3 ონლაინშეხვედრა ცალკეულ დაინტერესებული მხარეებთან (საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, როგორც სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორთან და პასუხისმგებელ პირთან დამატებით ჩატარდა საჯარო კონსულტაცია 2021 წლის 26 ოქტომბერს.

სულ რეკომენდაციები და შენიშვნები 100-ზე მეტმა პირმა თუ უწყებამ გააზიარა საკოორდინაციო საბჭოსთან. დაცული იყო გენდერული ბალანსი, კერძოდ, დარეგისტრირებული და შეხვედრებში მონაწილე პირთა 60% იყო ქალი, ხოლო 40% – კაცი. მოსაზრებები გამოითქვა სოციალურ ქსელსა და ბლოგებზეც. განიხილეს არა მხოლოდ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხები, არამედ საქართველოში გავრცელებული ენების შესახებაც, კერძოდ, გამოითქვა თვალსაზრისები და დაისვა შეკითხვები მეგრულის, სვანურის, უდიურის, წოვათუშურისა და სხვა ენების სტატუსის, დაცვისა და შენარჩუნების მექანიზმების შესახებ.

ანგარიშში წარმოდგენილია ყველა იმ შენიშვნის პასუხი, რომლებიც სახელმწიფო ენის სტრატეგიის რომელიმე ნაწილს ეხებოდა.

საკითხი	№	კომენტარი	ასახვა	განმარტება
ზოგადი	1	სტილისტიკური ხარვეზები და გრამატიკული შეცდომები	აისახა	
ზოგადი	2	ვფიქრობთ, დოკუმენტის სათაური უმჯობესია იყოს „სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და განვითარების სტრატეგია“ ან „სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სტრატეგია“...	არ აისახა	სახელმწიფო ენის სტრატეგია არის სახელმწიფო / სამთავრობო დონის პოლიტიკის დოკუმენტი და ის თავისი შინაარსით ვერ იქნება ერთი ინსტიტუციის სტრატეგია. გარდა ამისა, სტრატეგიის სახელწოდება განპირობებულია სახელმწიფო ენის კანონში ჩანაწერით „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“. რეფორმის შესაბამისად სათაური ჩამოყალიბდა კანონის ჩანაწერთან მაქსიმალური სიახლოვით : სახელმწიფო ენის სტრატეგია (ერთიანი პროგრამა).
ზოგადი	3	მე-6 გვერდის დასაწყისში ორჯერაა მითითებული, რომ დოკუმენტის სახელწოდებად განისაზღვრა: „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია)“, სამუშაო ვერსიაში კი დოკუმენტს ჰქვია „სახელმწიფო ენის სტრატეგია“, ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტის გარეკანზე და მთელ ტექსტში ასეა მოხსენებული.	აისახა	
ზოგადი	4	აღნიშნული დოკუმენტის მე-8 გვერდზე რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ქარტიის ხსენება არარელევანტურად მიგვაჩნია, რადგანაც საქართველო არ არის მიერთებული აღნიშნულ ქარტიასთან, თუმცა მასში განსაზღვრულ ვალდებულებებს ქვეყანა წლებია ასრულებს სხვადასხვა მექანიზმების ფარგლებში.	არ აისახა	შენიშვნის ეს ნაწილი ეხება იმ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც სიტუაციის ანალიზისა და ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრისათვის შეისწავლა სამუშაო ჯგუფმა, მათ შორისაა რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია. გარდა ამისა, ქარტია ის დოკუმენტია, რომლის შესრულების ვალდებულება საქართველოს აღებული აქვს. ამით არის განპირობებული სიტუაციურ ანალიზში დოკუმენტის აუცილებელი ხსენება.
ზოგადი	5	სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შტატში არა ჰყავს ამ ენის არცერთი სპეციალისტი, ან მთარგმნელი - ამ უწყების ინტერესი და პასუხისმგებლობა მეორე სახელმწიფო ენისადმი ამ მხრივაც უნდა ჩანდეს.	არ აისახა	სცილდება დოკუმენტის თემატიკას

ზოგადი	6	სათაურში – „სახელმწიფო ენის სტრატეგია“ – უნდა ჩაემატოს: „საქართველოს სახელმწიფო ენის სტრატეგია“ (ასევე, საკუთრივ დეპარტამენტიც სახელდებაშიც – „საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“).	არ აისახა	სიტყვა „საქართველო“ არც კანონის სახელწოდებაში არ გვაქვს („სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი) და არც თვითონ კანონშია მითითებული, როდესაც სახელმწიფო ენაზეა მსჯელობა.
ზოგადი	7	სახელმწიფო ენის კანონის მიხედვით დოკუმენტის სათაური განსაზღვრულია, როგორც „სახელმწიფო ენის პროგრამა“.	არ აისახა	საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილებით, მთავრობის მიერ დასამტკიცებელი პოლიტიკის დოკუმენტების იერარქიაში არ მოიაზრება დოკუმენტი სახელწოდებით „პროგრამა“ და შინაარსობრივად ის ჩანაცვლებულია სტრატეგიის დოკუმენტით. სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა მთავრობის ადმინისტრაციასთან სათანადო კონსულტაციების შემდეგ დოკუმენტის სახელად მიიღო: სახელმწიფო ენის სტრატეგია (პროგრამა).
ზოგადი	8	მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი განისაზღვრება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შეფასებითი დოკუმენტით, უმჯობესი იქნებოდა, ამ დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებაც.	არ აისახა	დოკუმენტის შემუშავების წესი არ ითვალისწინებს ამ მონაკვეთში დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობას.
ზოგადი სიტუაციის ანალიზი	9	ამ დოკუმენტს ჩვენი მომავალი თაობებიც წაიკითხავენ და შეექმნებათ შთაბეჭდილება, რომ მის არსებობამდე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობა მხოლოდ ამ დოკუმენტის შექმნის შემდეგ იწყება, რაც ობიექტური ვითარებისაგან ძალიან შორსაა.	არ აისახა	დოკუმენტი არ ითვალისწინებს ვრცელ ისტორიულ წიაღსვლებს, თუმცა სიტუაციის ანალიზის დასაწყისში რეკომენდებულია, აისახოს კავშირი წინა სტრატეგიებთან ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში – მოკლედ აღიწეროს წინა პერიოდის გამოცდილება. სტრატეგიის დოკუმენტში სათანადო ადგილას მოკლედ არის მინიშნება ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის მნიშვნელოვან ეტაპებზე.
სიტუაციის ანალიზი	10	იქნებ დააზუსტოთ, არ არსებობს, რადგან შეუძლებელია, რომ არსებობდეს (და, ე.ი. გარდაუვალია ამ ენების კვდომა), თუ არ არსებობს, რადგან ჯერჯერობით არ არის მოფიქრებული და შემუშავებული, ე. ი. გასაკეთებელია.	აისახა	



სიტუაციის ანალიზი	11	ელექტრონული ლექსიკოგრაფიის სფეროში ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს 2014-2017 წლებში შექმნილი „იდიომური გამოთქმების ლექსიკონი“ წარმოადგენს (იხ. <a href="https://idioms.iliauni.edu.ge/">https://idioms.iliauni.edu.ge/</a> ).	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	12	43-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები შეადგენენ მოსახლეობის 13,2%. აღნიშნული მონაცემი საჭიროებს დაკორექტირებას. 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ქვეყნის მოსახლეობის 13,1% შეადგენენ.	ნაწილობრივ აისახა	აღნიშნული რიცხვი ასწილადების დამრგვალების შედეგია (ქართველები - 86,82%, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები - 13,14%, არ აქვს მითითებული, - 0,02%). ამიტომაც მითითებულია ასწილადებით (13, 14%).
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 1.7	13	„საქართველოში არსებული ენების აღწერისას იყენებს მოძველებულ ან საეჭვო, არაქართულ წყაროზე დაყრდნობილ მონაცემებს“. უკეთესია, რომ ჩასწორდეს ან შეიცვალოს, რადგანაც მითითებული ზმული საერთაშორისოდ აღიარებული რესურსია და თუ იქ განთავსებული მონაცემები მცდარია, სასურველია ამ მიმართულებით მუშაობა და სწორი ინფორმაციის მიწოდება.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	14	„სტრატეგიაში“ სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების ისტორია იწყება 1935 წლიდან. ამ მიმართულებით სისტემური მუშაობა უფრო ადრე დაიწყო: კერძოდ, 1921 წელს გამოქვეყნდა მცირე მოცულობის წიგნი სათაურით „სალიტერატურო ქართულისათვის“, რომელიც სადავო საკითხების მოსაგვარებლად შეუქმნია კომისიას.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	15	საჭირო იყო „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მოხსენება, რომლის სიტყვანიც (ცნებათა სახელები, პერსონალია, ტოპონიმიკური ერთეულები...). ნორმატიული ხასიათისაა (ამასთან დაკავშირებით ენციკლოპედიის რედაქციაში მუშაობდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები: ი. გიგინეიშვილი, ალ. კობახიძე,	აისახა	

		მ. ჭაბაშვილი...); ენციკლოპედიის საფუძველზე შეიქმნა რამდენიმე ნორმატიული ლექსიკონი.		
სიტუაციის ანალიზი	16	ნათქვამია, რომ ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ენების ერთობა ქართველი ერის ყველაზე დიდი და უნიკალური მონაპოვარია. მონაპოვარი ნიშნავს „მოპოვებულს, შენაძენს“, ქართველურ ენათა ერთობა კი შენაძენი კი არ არის, არამედ მათი განვითარების ამოსავალი ვითარებაა.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	17	ტექსტი შექმნილია ნეგატიური პათოსით: „არ არის,,, „არ გაკეთებულა,,, „არ გვაქვს,“ და სხვ“.	ნაწილობრივ აისახა	„ნეგატიური“ სტილი გამოყენებულია პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების აღწერისას, ის განპირობებულია პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის სახელმძღვანელო პრინციპებით, თუმცა გავითვალისწინეთ და სტრატეგიის საბოლოო ტექსტში მაქსიმალური სიფრთხილითაა პრობლემები ასახული.
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 3.	18	ამჟამად სახელმწიფო ენის დეპარტამენტს არა აქვს სამეცნიერო მუშაობის პრეროგატივა და ის ვერც რომელიმე კვლევითი სტრუქტურის საკვლევ თემათა აქტუალობაზე ახდენს ზეგავლენას ...“ კომენტარი → თუმცა, „სტრატეგიაში“ წარმოდგენილი (გვ. 52-57) „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დანერგვის პროცესიდან“ და მისი ვრცელი კომენტარიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მიზნად ისახება დღემდე არსებული სამეცნიერო სტრუქტურათა „შეწოვა-შესრუტვა“, ე.წ. – „ჰარმონიზაცია“ და „კოორდინაცია“...	არ აისახა	კომენტარი სცილდება სტრატეგიის თემას. უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტი ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფუნქციას, რომელიც განსაზღვრული აქვს კანონმდებლობით. იხ. ორგანული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“.  ეს აბზაცი რედაქტირებისას სხვა ფორმით ჩამოყალიბდა.
ზოგადი, ამოცანა 3.	19	როგორც ვხედავთ, ენის სახელმწიფო დეპარტამენტი თავიდან გეგმავს ტერმინთბანკის შექმნას. ვფიქრობთ, უფრო მეტ და დამაჯერებელ არგუმენტს მოითხოვს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების რამდენიმეწლიანი სამუშაოს - ქართული ტერმინთბანკის - თავიდან დაწყების აუცილებლობა, მით უმეტეს,	არ აისახა	დოკუმენტში მსგავსი რამ არ წერია. ნათქვამია, რომ ტერმინთბანკი ერთიანი სახელმწიფო კონცეფციითა და საერთაშორისო სტანდარტით უნდა შეიქმნას.



		როცა წინამდებარე დოკუმენტში გამოთქმული თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება ევროპის ტერმინოლოგიური საზოგადოებების შეფასებებისაგან.		
ზოგადი, სიტუაციის ანალიზი	20	ტექსტში უკიდურესად დაკნინებულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის როლი ზოგადად და ქართული ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის საქმეში კონკრეტულად. ენათმეცნიერების ინსტიტუტი მოხსენიებულია სხვა დანარჩენ ინსტიტუციებთან ერთად, როგორებიცაა: თელავის, გორის, ახალციხისა და სხვა უნივერსიტეტები, რომელთაც ჩვენი დიდი პატივისცემა ეკუთვნით, მაგრამ არცერთი ენობრივი ნორმა იქ არასდროს შემუშავებულა (თუმცა იქმნებოდა ცალკეული სტატიები ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით.	ნაწილობრივ აისახა	ენათმეცნიერების ინსტიტუტის როლი გამოიყო ტექსტში, აღინიშნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და ინსტიტუტს შორის დადებული მემორანდუმის შესახებაც, დაემატა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის საკითხებში ინსტიტუტი არის ძირითადი დასაყრდენი ორგანიზაცია დეპარტამენტში, ასევე, „ძირითადთან“ ერთად მიეთითა სიტყვა „საბაზო“.  თუმცა მიგვაჩნია, რომ სხვა კვლევით ცენტრებთან ერთად ინსტიტუტის მოხსენიება მის დაკნინებას არ ნიშნავს.
სიტუაციის ანალიზი	21	სამწუხაროდ, ახალი გამოცემა ქეგლისა სტრატეგიის ავტორებს არც უნახავთ, ისე მსჯელობენ მის ავ-კარგზე (წერენ: ოთხ ტომში „ოთხი ასო-ნიშანია წარმოდგენილი: ა, ბ, გ, დ“; არადა, ამ ასოებზე ლექსიკა პირველ სამ ტომშია წარმოდგენილი; მეოთხეში მომდევნო სამი ასოა შეტანილი: ე, ვ, ზ)...	აისახა	ეს იყოს ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც გასწორდა შესაბამისად.
	22	წოვათუშური ენის შესახებ ჩანაწერი გვხვდება ერთგან (გვ. 16), სადაც ის სამართლიანად განსაზღვრულია, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილება, თუმცა ნათლად არ ჩანს, რა ღონისძიებებია დაგეგმილი უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ენის გადასარჩენად (იხ. იუნესკოს კლასიფიკაცია; გიგაშვილი 2010). გარდა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა, რომელსაც ჩვენში უკვე გარკვეული ტრადიცია აქვს, დგას სასწავლო რესურსების შექმნისა და მასწავლებლების მომზადებისა თუ გადამზადების გადაუდებელი საჭიროება. როგორც მოგეხსენებათ, უკვე ორი წელია სოფ. ზემო ალვანის საბავშვო ბაღში დაიწყო წოვათუშური ენის სწავლება, მაგრამ რადგან არ არსებობს არანაირი სასწავლო რესურსი	ნაწილობრივ აისახა	წოვათუშურის საკითხი განხილულია სტრატეგიის პირველ ამოცანაში, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფას. წოვათუშურისათვის სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სათანადო საკანონმდებლო აქტი და განსაზღვროს ამ ენის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მექანიზმები. ამ საკანონმდებლო ინიციატივისთვის საჭირო და რეალური აქტივობების შესრულება 2022 წლის სამოქმედო გეგმაში, ბუნებრივია, ვერ მოხერხდებოდა. საშურია, რომ სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცებისთანავე დაიწყო მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივაზე, შემდეგ

		(არც ბეჭდური, არც ელექტრონული), პროცესი სრულფასოვნად ვერ მიმდინარეობს და ცხადია, შედეგებიც ისეთი ვერ იქნება, რომ ენის სიცოცხლისუნარიანობა გაახანგრძლივოს, მით უმეტეს, რომ შემდეგ საფეხურზე, სკოლაში, ენის სწავლება აღარ გრძელდება.		კი შეიქმნას სამუშაო ჯგუფი უწყებათაშორის საბჭოსთან ერთად, რომელიც განსაზღვრავს დაცვის მექანიზმებს და იმუშავებს შემდეგი წლების სამოქმედო გეგმაზე. სამოქმედო გეგმაში აქტივობათა შინაარსს, შესრულების ვადებსა და ბიუჯეტს განსაზღვრავს პასუხისმგებელი უწყება. ამიტომაც არის საჭირო შეიქმნას უწყებრივი ვალდებულების საკანონმდებლო საფუძველი.
სიტუაციის ანალიზი	23	ქართველურ ენებზე მსჯელობისას ნახსენებია, რომ იგეგმება მათ წინაშე არსებული გამოწვევების გამოსაველენად და შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად კვლევების ჩატარება. ამ ფაქტს, ახალი მონაცემების გამოვლენას, ცხადია, მივესალმებით, მაგრამ საინტერესოა, რა დამოკიდებულება არსებობს იუნესკოს კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ქართველური ენების მდგომარეობა უკვე შეფასებულია, როგორც გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი. ამასთანავე, თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში საუბარია მხოლოდ მათ სამეცნიერო კვლევაზე და არაფერია ნათქვამი მათ პრაქტიკულ სწავლებაზე, ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში ამ ენების დაუფლების ხელშეწყობაზე.	ნაწილობრივ აისახა	ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების საკითხი ძირითადად საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგებას გულისხმობს პირველ ეტაპზე. გარდა ამისა, სტრატეგიაში ასახულია არაფორმალური განათლების სფეროში რამდენიმე სასწავლო აქტივობა, აგრეთვე, დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა.
სიტუაციის ანალიზი	24	დოკუმენტში „სიტუაციის ანალიზი“ (გვ. 12-45) რიგიანად არის შესრულებული; თუმცა ახალი არაფერია; ეს გასაგებია: აქ ის პრობლემებია, რაც საყოველთაოდ ცნობილია და რისი მოგვარებისათვისაც ვითხოვდით „კანონის“ შექმნას“.	არ აისახა	დოკუმენტი შედგენილია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული წესის შესაბამისად, სიტუაციის ანალიზის დანიშნულებაა არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მტკიცებულებებით დასაბუთება და გადაწყვეტის გზების განსაზღვრა, რაც განხილულია სტრატეგიის ტექსტში.
სიტუაციის ანალიზი	25	არ არის მითითებული, რომ თსუ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების	არ აისახა	დოკუმენტში საკმარისად აღწერილია აღნიშნული საკითხი.

		ინსტიტუტში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ქართული ტერმინთბანკის შექმნისთვის მუშაობა, სამუშაო ტერმინთბანკის შევსებარედაქტირება, რის გამოც, ცხადია, წინსწრებით ვერ გადაწყდება მისი გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის საკითხი.		ნათქვამია სწორედ ის, რომ არსებული პროდუქტი არ არის დასრულებული და შესაბამისად, არც ხელმისაწვდომია.
სიტუაციის ანალიზი	26	38-ე გვერდის ბოლო ორ აბზაცში არის ცდა, გამოიკვეთოს ლინგვისტური ქართველოლოგიის ინტერნაციონალიზაციის სადღეისო მდგომარეობა და შეჯამდეს განვლილი ეტაპები; ხოლო 42-ე გვერდზე მოცემული ინფორმაცია ეხება საზღვარგარეთ ქართველოლოგიის ცენტრების არსებობა-ფუნქციონირების საკითხს ადრე და ახლა. ამ თვალსაზრისით სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში მოხმობილი მონაცემები (გვ. 32, 42) სერიოზულ გადამუშავებას და ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას ითხოვს ფაქტების დაზუსტებითა და სრულყოფილი მონაცემების გათვალისწინებით.	აისახა	
ამოცანა 6.	27	63-ე გვერდზე ამოცანა 1.6.-ის ტექსტი „ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა“ წარმოსადგენია ახალი რედაქციით, რომელშიც დაზუსტდება ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობის განმსაზღვრელი აქტივობები, მსგავსად გამოყენებითი კვლევებისა და ნათლად განისაზღვრება გამოყენებითი კვლევების არეალი, რათა მე-3-4 აბზაცების ტექსტი ბუნდოვანებისა და ორაზროვნების გარეშე მიემართებოდეს 1-ელსა და მე-2-ს.	აისახა	
ამოცანა 4.	28	ქართული ენის სწავლების მხარდაჭერის მიზნით დაგეგმილ აქტივობებში გასათვალისწინებლად გთავაზობთ შემდეგ წინადადებას: დაინტერესებულ პირებისათვის (1+4 და გაცვლითი პროგრამის სტუდენტები, ემიგრანტთა ოჯახების წარმომადგენლები) მომზადდეს სპეციალური საუნივერსიტეტო	ნაწილობრივ აისახა	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

		<p>არჩევითი კურსები ქართული ენის სრულყოფისათვის, კონკრეტულად, ქართული ენის ფლობის მაღალი დონისათვის:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ქართული ენის სრულყოფის კურსი (C1, მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა)</li> <li>2. ქართული ენის სრულყოფის კურსი (C2, მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა)</li> <li>3. ქართული ენა პროფესიული უნარების განვითარებისათვის (ჰუმანიტარული, სოციალური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).</li> </ol>		
ამოცანა 3	29	ენის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში არ ჩანს სამეცნიერო ტერმინოლოგიური მუშაობის განვითარების პერსპექტივა, შესაბამისად, ტერმინოლოგიის შემუშავების მეთოდოლოგია.	არ აისახა	კომენტარი სცილდება დოკუმენტის ფორმატს. საკმარისი მეთოდოლოგიური მითითებაა საერთაშორისო სტანდარტების დაცვის აუცილებლობა ტერმინოლოგიური სამუშაოების წარმოებისას.
სიტუაციის ანალიზი	30	პროექტის იმ საგანგებო ნაწილებში, რომლებიც მხოლოდ აფხაზურ ენას ეხება, ზოგან მოწოდებული ინფორმაცია მოძველებულია, ზოგან ტექსტი სიმართლეს არ შეეფერება, ზოგჯერ კი გამორჩენილია მნიშვნელოვანი ფაქტები.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 4.	31	სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის დოკუმენტში, განსხვავდება იმ მონაცემებისგან, რაც ასახულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტში.	არ აისახა	სახელმწიფო ენის სტრატეგიის მიზანი და ამოცანები განსხვავდება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანებისაგან, ასევე განსხვავებულია სამიზნე ჯგუფი. შესაბამისად, სამიზნე მაჩვენებელი, ბუნებრივია, განსხვავებული შეიძლება იყოს ამ ორ სტრატეგიაში.
სიტუაციის ანალიზი	32	პროექტში არაფერი წერია იმის შესახებ, რომ საქართველოს ზოგადსახელმწიფოებრივი მასშტაბის ოფიციალურ სტრუქტურათა ნაწილს და დევნილობაში მომუშავე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებს შექმნილი აქვთ საგანგებო ვებგვერდები აფხაზურ	აისახა	

		ენაზე, რაც მოსაწონი და კონსტიტუციის მოთხოვნათა შესატყვისია, თუმცა სტრუქტურათა იმ ნაწილს (მათ შორის სახელმწიფო ენის დეპარტამენტსაც), რომელთა მიერ მიღებული ნორმატიული დოკუმენტები აუცილებლად უნდა მიდიოდეს აფხაზ მოქალაქეებამდე, ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია.		
სიტუაციის ანალიზი	33	შეიძლება ითქვას, რომ აფხაზური ყველაზე უკეთ შესწავლილი ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის, სიმონ ჯანაშიას, რუსუდან ჯანაშიას, თეიმურაზ გვანცელაძისა და უცხოელ თუ აფხაზ მეცნიერთა კვლევების წყალობით.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	34	პროექტში არც ისაა აღნიშნული, რომ ზემოთ ხსენებულ ვებგვერდებზე უკვე ატვირთულია აფხაზურ ენაზე თარგმნილი საქართველოს კონსტიტუცია და მრავალი ნორმატიული დოკუმენტი. გამორჩენილია ისიც, რომ აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ თბილისში ქართულიდან აფხაზურად და აფხაზურიდან ქართულად ითარგმნა და გამოიცა დიდძალი ლიტერატურა (იურიდიული, მხატვრული, ფოლკლორული, საცნობარო და სხვა), არსებობს ამ ენის მცირე მოცულობის ელექტრონული კორპუსიც.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	35	მომველებულია 32-ე გვერდის პირველი აბზაცის ინფორმაცია ენგურს გამოლმა აფხაზური ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	36	ნაწილობრივია მართალი, რომ „არ არის აფხაზური ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების სახელმწიფო სტანდარტი“. როგორც ჩანს, ტექსტის ავტორებმა არ იციან, რომ „ეროვნულ სასწავლო გეგმაში“ კარგა ხანია შეტანილია აფხაზური ენისა და ლიტერატურის ვრცელი, 80-გვერდიანი სასწავლო გეგმა, ოღონდ იგი პრაქტიკულად ეხება მხოლოდ აფხაზურს, როგორც დედაენას.	არ აისახა	დოკუმენტში აფხაზური ენის ეროვნული სასწავლო გეგმის შესახებ არ წერია. აქ განხილულია აფხაზური ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების სახელმწიფო სტანდარტი, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ევროსაბჭოს რეკომენდაციათა ჩარჩოს ფარგლებში შემუშავებულ კრიტერიუმებს ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების A1 A2 B1 B2 C1 დონეებისათვის.



ამოცანა 4	37	პროექტში გამორჩენილია, რომ აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს უკვე რამდენიმე წელიწადია აქვს „აფხაზეთის ენის ხელშეწყობის პროგრამა“, რომლითაც ფინანსდება აფხაზეთის ენის ბეჭდური და ელექტრონული სასწავლო რესურსების შედგენა-გამოცემა.	აისახა	
ზოგადი, ამოცანა 4.	38	პროექტი არ გეგმავს დეპარტამენტის კოორდინირებულ მუშაობას აფხაზოლოგიის მიმართულებით ისეთ დაწესებულებებთან და უწყებებთან, როგორცაა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები და მთავრობები. ამის გარეშე კი საქმე უეჭველად დაზარალდება.	არ აისახა	სტრატეგიის განხორციელების ნაწილში სხვადასხვა პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებაა წარმოდგენილი. მათ შორის: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თსუ არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. დეპარტამენტი მუშაობს სხვა უწყებებთან და იმედია, მომავალი წლების სამოქმედო გეგმებში მეტი უწყება ჩაერთვება.
	39	სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული სოციოლინგვისტური ნაშრომების უცხო ენებზე (უპირატესად ინგლისურად, რუსულად, ფრანგულად, ესპანურად, თურქულად, არაბულად) თარგმნისა და გავრცელების ფინანსურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. უამისოდ საქართველო აგებს საინფორმაციო ომს.	არ აისახა	სტრატეგიაში ცალსახა ხაზგასმია სამეცნიერო ნაშრომთა ინტერნაციონალიზაციაზე. გარდა ამისა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსი, რომელიც მიზნობრივად ცხადდება სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებათა დასაფინანსებლად, აუცილებლად მოითხოვს ინტერნაციონალიზაციას საერთაშორისო ბაზებში განთავსებულ გამოცემებში პუბლიკაციის გზით.
	40	გაცნობებთ რომ სახელმწიფო ენის სტრატეგიის დოკუმენტში ეთნიკური უმცირესობების ენების დაცვის საკითხის წამოწევა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. შესაბამისად, არარელევანტურად მივიჩნევთ ამ მიმართულებით ინდიკატორების განსაზღვრას.	არ აისახა	სახელმწიფო ენის სტრატეგია ქართული და აფხაზეთი ენების ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან ერთად მოიცავს ისეთ ამოცანებს, რომლებიც საქართველოში ენობრივი მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარებისაკენ არის მიმართული. ამასთან, ეუთოს წარმომადგენლობამ საქართველოში სახელმწიფო ენის დეპარტამენტს სტრატეგიაზე



				<p>მუშაობისას რეკომენდაცია მისცა, უმცირესობათა ენების დაცვის, სწავლებისა და კვლევების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. რადგანაც ეს საკითხები და უმცირესობათა ენობრივი უფლებების დაცვა სამოქალაქო ინტეგრაციის ჭრილში არ არის გამოკვეთილი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში, ვფიქრობთ, ის ასახული უნდა იყოს სხვა სახელმწიფო სტრატეგიაში. შესაბამისად, სახელმწიფო ენის სტრატეგიის მე-7 ამოცანა უმცირესობათა ენების დაცვასა და ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას გულისხმობს.</p>
	41	<p>დოკუმენტში საერთოდ არ არის ნახსენები მულტილინგვური (ბილინგვური) განათლება, როგორც ერთადერთი ეფექტური ინსტრუმენტი არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლებისა.</p>	აისახა	
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 7.	42	<p>უმცირესობათა ენების დაცვასთან სახელმწიფო ენის დეპარტამენტს და მით უფრო - სახელმწიფო ენის პროგრამას (სტრატეგიას) არანაირი ლოგიკური და, მით უფრო - სამართლებრივი - კავშირი არ აქვს.</p>	არ აისახა	<p>სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ერთობლივ სემინარებზე მოწონებული იქნა ინიციატივა, რომ ერთ-ერთ ამოცანად სახელმწიფო ენის სტრატეგიაში შევიდეს უმცირესობათა ენების დაცვა, კვლევა, დოკუმენტირება და სწავლება. ეს ამოცანა ლოგიკურად აჩვენებს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ფონს და სამართლებრივად გამომდინარეობს სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონიდან.</p>
სიტუაციის ანალიზი	43	<p>უნდა ჩასწორდეს ეს ჩანაწერი „იმის გამო, რომ სახელმწიფოსგან არ არის მხარდაჭერილი უნიკოდების შექმნა და სხვადასხვა ოპერაციული სისტემებში მათი ჩართვა, ფერხდება ამ ენების ციფრული განვითარება. პრობლემას თან ერთვის ქართული კლავიატურისა და ქართველურ ენათა, ასევე, საქართველოს სხვა ენათა ბგერითი სისტემის უნიკოდში წარმოდგენის სტანდარტის არარსებობა“ და</p>	აისახა	

		ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ საჭიროა უნიკოდში ასახული ქართველურ ენათა ანბანების ჩართვა სხვადასხვა ოპერაციულ სისტემაში, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი განთავსება ქართულ კლავიატურაზე.		
სიტუაციის ანალიზი	44	საჭიროა ხელი შეეწყოს რაოდენობრივად რედაქტირებულ ვებ-პროდუქციას და შემოწმდეს, რა ფორმით შეიძლება ამ პროცესის მართვა. მართვის ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა იყოს „ახალი სიტყვების“ ავტომატური „აღმოჩენი“, რომელიც თავის თავზე აიღებდა ერთგვარი „თანამედროვე ქართული ენის ლექსიკური კარიბჭის“ ფუნქციას.	არ აისახა	აღნიშნული საკითხი ასახულია სტრატეგიის ტექსტში და სამოქმედო გეგმაში.
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 6.	45	სასურველი იქნებოდა „ვიკიპედიის“, როგორც ინტერნეტში ყველაზე ინტერაქტიული ქსელის, სტატიების ქართული ვერსიების მიზანმიმართული პროდუქცია და არსებული უცხოენოვანი სტატიების მაღალი დონის ქართულენოვანი თარგმანი. „მიზანმიმართულ პროდუქციაში“ იგულისხმება აღიარებული პროფესიონალებისათვის სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული სტატიების დაკვეთა და მათი ვიკიპედიაში განთავსება.	ნაწილობრივ აისახა	ქართული ინტერნეტსივრცის განვითარების, ინტერნეტის ენის საზედამხედველო ტექნოლოგიური ინსტრუმენტის შექმნის, კადრების მოზიდვისა და დასაქმების შესახებ უდავოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ღამივე ამ საკითხზე ვმუშაობთ საკოორდინაციო საბჭოს სხვადასხვა უწყებასთან, რომ მომავალ სამოქმედო გეგმებში უფრო მასშტაბურად აისახოს ეს საკითხები.
სიტუაციის ანალიზი	46	დაემატოს მტკიცებულებად ტექნოლოგიების საკითხს: „2020 წლის შემდგომი აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკა“. <a href="https://eeas.europa.eu/sites/default/files/1_en_act_part1_v6.pdf">https://eeas.europa.eu/sites/default/files/1_en_act_part1_v6.pdf</a>	აისახა	

სამოქმედო გეგმა	47	<p>ქართული სალიტერატურო ენის ნორმების რეგულარული განახლება და დანერგვა - რა პრინციპზე დაყრდნობითაა დასახელებული ნორმების ოდენობის ზრდა განსაზღვრული, საერთო ჯამში, 2030-თვის მინიმუმ 530 ნორმა გვექნება დამტკიცებული? დასახელებული ოდენობა უზრუნველყოფს ნორმატიული წესების მაქსიმალურ პროცენტს?</p>	არ აისახა	<p>530 ნორმა არც ლოგიკურ ჩარჩოში და არც სამოქმედო გეგმაში არ წერია. ლოგიკურ ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ 2030 წლისათვის დამტკიცებული უნდა იყოს ჯამში 150 ნორმა (სამოქმედო გეგმაში საანგარიშო წლების შესაბამის გრაფაში წინა საანგარიშო წლების ჯამი, 2030 წლისათვის კი მთლიანი ჯამი) წერია, რაც გულისხმობს ნორმების მინიმუმს და არა მაქსიმუმ რაოდენობას. რაც შეეხება პრინციპს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტს 2018 წლიდან დღემდე აქვს ნორმების დამტკიცების გამოცდილება. არსებული მონაცემების ანალიზისა და სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შედეგად 150 ნორმის დამტკიცება ლოგიკურად მისაღწევი შედეგი იქნება.</p>
სიტუაციის ანალიზი	48	<p>„იმის გამო, რომ სახელმწიფოსგან არ არის მხარდაჭერილი უნიკოდების შექმნა" - უნიკოდის შექმნა პირდაპირ კავშირშია ანბანის არსებობა/არარსებობას. უნიკოდი არის სიმბოლოს ე.ი. წერილობითი ნიშნის კოდირების სისტემა, იხ. <a href="https://unicode.org/faq/basic_q.html#1">https://unicode.org/faq/basic_q.html#1</a>. თუ ეს ჩანაწერი ამ სახით დარჩება, იგულისხმება, რომ მეგრულსა და სვანურს თავისი დამწერლობა უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ქართულს, ქართული, ამ მხრივ, სტანდარტიზებულია - Everson, Michael. 1991-2019. Georgian Supplement, Range: 2D00-2D2F. from <a href="https://unicode.org/charts/PDF/U2D00.pdf">https://unicode.org/charts/PDF/U2D00.pdf</a>. Everson, Michael. 1991-2019. Georgian, Range: 10A0-10FF. <a href="https://unicode.org/charts/PDF/U10A0.pdf">https://unicode.org/charts/PDF/U10A0.pdf</a>“</p>	აისახა	
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 4.	49	<p>სახელმწიფო ენის ფლობის დონის შესამოწმებლად, სასურველია, რომ შემუშავდეს ერთიანი გამოცდა/ტესტი CEFR-ის მიერ დადგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში (იხ. <a href="https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/developing-tests-examining">https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/developing-tests-examining</a>).</p>	არ აისახა	<p>აღნიშნული საკითხი სწორედ ამგვარად არის ასახული ტექსტში.</p>

<p>ამოცანა 3; სამოქმედო გეგმა</p>	<p>50</p>	<p>ტერმინოლოგიური სტანდარტის მიხედვით დამტკიცებული ტერმინების რაოდენობის საბაზისო დონის გრაფაში წერია 0, დანარჩენი დონეების გამოთვლა კი მას ეყრდნობა. კარგი იქნება, რომ დოკუმენტს ერთოდეს სტანდარტების სია, რომელსაც დაეყრდნობა ტერმინოლოგიის დამტკიცება და ტერმინოლოგიური ბაზების გამართვა, რადგანაც დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ტერმინოლოგიურ რესურსებს, აღნიშნული სია წარმოდგენილი არ არის.</p>	<p>არ აისახა</p>	<p>ტერმინოლოგიური სტანდარტებისა და ტერმინოლოგიის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერა არ არის სტრატეგიის დოკუმენტის ფუნქცია. სტრატეგია არ არის თეორიული და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. სამოქმედო გეგმაში ასახულია კონკრეტული სტანდარტები, რომლებიც, პირველ რიგში, უნდა ითარგმნოს. მომდევნო სამოქმედო გეგმებში აისახება დანარჩენი სტანდარტები, აგრეთვე მეთოდოლოგიური კონცეფციის შემუშავება.</p>
<p>სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 4.</p>	<p>51</p>	<p>კარგი იქნება, რომ აღნიშნული ინფორმაცია შეივსოს ინფორმაციით EMT-ს სტანდარტის შესახებ (აღნიშნულთან დაკავშირებით დაწვრი. იხ. <a href="https://ec.europa.eu/info/sites/default/files/emt_competence_fwk_2017_en_web.pdf">https://ec.europa.eu/info/sites/default/files/emt_competence_fwk_2017_en_web.pdf</a>) და აღინიშნოს, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული არც ერთი პროგრამა არ შეესაბამება EMT-ს სტანდარტს, არ ისწავლება კომპიუტერული ტექნოლოგიები და ბევრი სხვ.</p>	<p>აისახა</p>	
<p>სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 6.</p>	<p>52</p>	<p>გასათვალისწინებელია, რომ SJR-ის ბაზაში საქართველოში გამოცემული ჟურნალებიდან მხოლოდ აკადემიის „მაცნე“ აქვეყნებს სტატიებს ჰუმანიტარული მიმართულებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აკადემიის „მაცნე“ მრავალდარგოვანი ჟურნალი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართველოლოგიით და/ან აფხაზოლოგიით. ქართველოლოგიის დარგის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის კუთხით არ არის საკმარისი დავეყრდნოთ მხოლოდ SJR-ს ან გავითვალისწინოთ მხოლოდ SCOPUS-ისა და Elsvier-ის მონაცემები. უკეთესი იქნება, რომ ამ თავს შეემატოს ინფორმაცია ERIH+ ინდექსისა და EBSCO-ს ჰუმანიტარული მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზის შესახებ, რადგანაც EBSCO-ს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა Elsvier-თან მონაცემების გაცვლა-გამოცვლის მიზნით და, ასევე, ახდენს ჟურნალების</p>	<p>აისახა</p>	

		წინასწარ რეცენზირებას Web of Science-ისა და Scopus-ის მონაცემებზე დაყრდნობით (იხ. <a href="https://www.ebsco.com/products/research-databases/humanities-source">https://www.ebsco.com/products/research-databases/humanities-source</a> ).		
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 3.	53	ქეგლი-ის ახალი გამოცემის პრობლემა მაღალ დონეზეა მოსაგვარებელი, მაგრამ არა ამ გზით... ეს საკითხი პრინციპულად გადასახედია დოკუმენტში...	არ აისახა	დოკუმენტში ასახულია, რომ შეიქმნება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მხარდაჭერის სახელმწიფო კონცეფცია და მისი განახლების რეალური გრაფიკი - კონცეფცია გულისხმობს დაფინანსების სახის, სამუშაო ჯგუფის მოცულობის და საბოლოო შედეგის ვადის განსაზღვრას, ყველა იმ პრობლემის იდენტიფიცირებას, რომელიც ხელს უშლის განმარტებითი ლექსიკონის განახლების რეგულარული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და მათი აღმოფხვრის გზების დასახვას.
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 1.	54	უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, წოვათუშური ენის ანბანის სტანდარტიზება და გრაფიკის მორგება თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რათა ენამ შეძლოს ციფრულ სამყაროში ფუნქციონირება. ამასთანავე, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების შექმნა.	არ აისახა	დოკუმენტში უკვე ასახულია აღნიშნული საკითხი სტრატეგიის ტექსტსა და სამოქმედო გეგმაში, კერძოდ კი, უნიკოდების მოწესრიგების ნაწილში.
სიტუაციის ანალიზი	55	დოკუმენტის ტექსტში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ორთოგრაფიული ბაზა და ორთოგრაფიული ელექტრონული ლექსიკონი. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ერთგვარი გაუგებრობა: ბაზის არარსებობა, რა თქმა უნდა, აბრკოლებს ნორმების განახლების პროცესს, მაგრამ მომხმარებლის ხელმისაწვდომობას ნორმაზე აფერხებს არა ორთოგრაფიული ბაზის, არამედ ორთოგრაფიული ელექტრონული ლექსიკონის უქონლობა.	არ აისახა	ორთოგრაფიული ბაზა არ გულისხმობს ორთოგრაფიული ლექსიკონების პლატფორმას. ხშირად ამ ლექსიკონების ინფორმაცია წინააღმდეგობრივია. ორთოგრაფიულ ბაზაში მოიაზრება ერთიანი ბაზა, რომელიც უნდა აერთიანებდეს კანონმდებლობით დამტკიცებულ, განახლებულ ნორმატიულ ინფორმაციას.
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 3.	56	ქართული სალიტერატურო ენის ნორმები განახლების პროცესშია. ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდულ კრებულში „ქართული	აისახა	

		<p>სიტყვის კულტურის საკითხები“ გამოქვეყნებულია ასობით სამეცნიერო სტატია სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. თითოეული ნაშრომი წარმოადგენს სანორმე პროექტის საფუძველს, შესაბამისად, ნორმათა განახლების პროცესი უწყვეტად წარიმართება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიასთან თანამშრომლობით.</p>		
<p>სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 4.</p>	57	<p>ბოლო ხანებში საქართველოს ნაციონალური უმცირესობით დასახლებულ რეგიონების სკოლებში ჩნდება ქართული სექტორები. ეს ერთგვარად არის საზოგადოების დაკვეთა, რადგან ნაციონალური უმცირესობების წარმომადგენლებმა გააცნობიერეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობა. საზოგადოებაში ინტეგრირებისა და წარმატებული კარიერისთვის ეს კარგი საწყისი შეიძლება გახდეს, ამდენად, ეს ტენდენცია შესაძლოა, მომავალში უფრო გამოიკვეთოს. აუცილებელია, ამ პროცესებს მზად შეხვდეს ქართული განათლების სისტემა და ამ რეგიონებისათვის შეიქმნას ისეთი კონცეფცია, რომელიც არაერთ საკითხს გაითვალისწინებს და სწავლების პროცესს უფრო ეფექტიანს გახდის.</p>	აისახა	
<p>სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 1.</p>	58	<p>მასობრივად ირღვევა გეოგრაფიულ სახელთა ისტორიული სახე ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში, სადაც ადგილობრივები მიზანმიმართულად არ იყენებენ სოფელთა ისტორიულ სახელებს და ინტენსიურად ცვლიან.</p>	არ აისახა	<p>დოკუმენტში ზედმიწევნითაა წარმოდგენილი ტოპონიმის პრობლემები და მოგვარების გზები; სამოქმედო გეგმაში რამდენიმე აქტივობაა ამ მიმართულებით.</p>
<p>სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 4.</p>		<p>60-კრედიტიანი პროგრამა გულისხმობს ენის სწავლების 1500 საათს, CEFR-ის შესაბამისად, სრული სკალის (A1-დან C2-მდე ) დასაძლევ სწავლებით დატვირთვა ენების</p>	არ აისახა	<p>CEFR-ის შესაბამისად საგამოცდო პროგრამების მომზადება სწორედ ამას გულისხმობს, რაც ასახულია ტექსტში.</p>



		მიხედვით მერყეობს 1200 - 1500 საათამდე. სასურველია ამ მიმართულებით საათობრივი ჩარჩოს ნორმალიზება ქართულ ენასთან მიმართებით უკეთესი შედეგის უზრუნველყოფის მიზნით.		
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 4.	59	„გათვალისწინებულია ქართული, როგორც მშობლიური ენა და მისი სწავლების სპეციფიკა განათლების ყველა საფეხურზე“ (გვ. 57)... კონკრეტულად რა, სად და როდის?	ნაწილობრივ აისახა	სტრატეგიის სამდივნო უწყებათაშორის საბჭოსთან მუშაობს აღნიშნული საკითხის შემდგომ სამოქმედო გეგმებში უფრო ნათლად ასახვაზე.
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 6.	60	„კომპიუტერული ლინგვისტიკის საკითხები შეისწავლება თსუ გამოყენებითი ლინგვისტიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების კათედრებზე, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში.“ ამ ჩამონათვალს უნდა შეემატოს ილიას უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო და დიგიტალური ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამები.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 6.	70	ძალიან სასიხარულოა, რომ ენობრივი ტექნოლოგიების შექმნის საკითხები თანდათან ხდება პრიორიტეტული, სტრატეგიული მიმართულება ჩვენს ქვეყანაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ენობრივი ტექნოლოგიების შექმნას წინ უნდა უსწრებდეს ენობრივი რესურსების შექმნა, უპირველეს ყოვლისა კი, ეს რესურსები არის ლექსიკონები და კორპუსები: ერთენოვანი თუ პარალელური. სწორედ ამიტომ, მინდა გთხოვოთ, სახელმწიფო ენის სტრატეგიის დოკუმენტში უფრო გამოკვეთოთ ლექსიკონების, კორპუსებისა და სხვა ენობრივი რესურსების შექმნის ამოცანა.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 6.	71	კარგი იქნება, რომ მოხდეს ყურადღების გამახვილება საქართველოში გამოცემულ ჟურნალებზე და მოხდეს რედაქციების	აისახა	

		წახალისება ჟურნალების აღნიშნულ ბაზებში მოხვედრის თვალსაზრისით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნულ სიას შეემატება საქართველოში გამოცემული რომელიმე სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც გამოაქვეყნებს სტატიებს ქართველოლოგიის და/ან აფხაზოლოგიის მიმართულებით, მოხდეს სამეცნიერო ჟურნალების რანჟირების პორტალზე (SJR) ინდიკატორის ზრდის საკითხის...		
სიტუაციის ანალიზი; ამოცანა 3.	72	სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ნახსენები ორი ტერმინოლოგიური სტანდარტი ჯერ კიდევ 90-იან წლებში იყო თარგმნილი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიების მონაწილეობით.	არ აისახა	ეს სტანდარტები ვერ იქნებოდა თარგმნილი, რადგანაც 1999 წელს საქსტანდარტის, სახელმწიფო ენის პალატისა და არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მონაწილეობით თარგმნილი და საქართველოს სტანდარტად მიღებული სამი სტანდარტიდან არცერთი არაა დღეს მოქმედი.
სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 7.	73	66-ე გვერდზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი გარკვეული ჯგუფები მოხსენიებულნი არიან, როგორც მოწყვლადი ჯგუფი, რაც არ არის მართებული.		ტერმინ „მოწყვლადის“ არამართებულობის შესახებ არ არის განმარტებული. სახელმწიფო ენის სტრატეგიაში ეს ტერმინი ენათა დაკონკრეტების გარეშეა მოცემული. ის, რომ ასეთ ჯგუფები ნამდვილად გვყავს საქართველოში, ჩანს იქიდანაც, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაშიც გამოყენებულია ეს ტერმინი შესაბამისი ჯგუფების აღნიშვნისათვის.
ამოცანა 3.	74	ვიმედოვნებთ, 2030 წლისთვის 30 000 ტერმინის შექმნა უზრალოდ კორექტურული შეცდომაა წინამდებარე დოკუმენტში და, სავარაუდოდ, 300 000 ტერმინის შექმნა მაინც იგულისხმება, რადგან, ვფიქრობთ, ენის დეპარტამენტის მიერ ნავარაუდები ე.წ. მასშტაბური გეგმა მხოლოდ ამ რაოდენობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.	არ აისახა	სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამუშაო ვერსიის ლოგიკური ჩარჩოს ერთ-ერთი ამოცანის შედეგის ინდიკატორი არის 30000 ტერმინის ეროვნული სტანდარტის მიხედვით დამტკიცება და არა შექმნა. რაოდენობა განისაზღვრა ევროკავშირის დოკუმენტაციის თარგმნისას გამოვლენილი ტერმინოლოგიის საშუალო „ნაკადის“, აგრეთვე ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. დამტკიცების

				პროცესი აღწერილია სტრატეგიის ტექსტში.
ამოცანა 5.	75	ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ნაკლად არის მიჩნეული ის, რომ მათი პერიოდული გამოცემები არ არის სრულად ორენოვანი... არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ყოველწლიურად რამდენიმე კრებული გამოდის, რომლებშიც დაბეჭდილ თითოეულ წერილს ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე. ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში მომუშავე ყველა სპეციალისტმა იცის ქართული იმ დონეზე მაინც, რომ სამეცნიერო ლიტერატურას ქართულ ენაზე გაეცნოს.	არ აისახა	ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ნაკლად არ მიიჩნევა მათი სამეცნიერო ჟურნალების ქართულენოვანობა. არამედ სტრატეგიის ტექსტში აღწერილია მეცნიერთა და ნაშრომთა ინტერნაციონალიზაციის გზები.
ამოცანა 6.	76	მეტყველების დამუშავება: მეტყველების დამუშავება: მეტყველების ამოცნობისა და სინთეზის არსებული ტექნოლოგიების ხარისხი, სფეროთა დაფარვის დონე, არსებული კორპუსების რაოდენობა და ზომა, ხელმისაწვდომი აპლიკაციების ნაირგვარობა და რაოდენობა.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	77	სტრატეგიაში სასურველია, ასახული იყოს შემდეგი დებულება: არაქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში ქართული სექტორების განვითარებისათვის ხელშეწყობა.	აისახა	
სიტუაციის ანალიზი	78	ეთნიკური უმცირესობების ენები არ მოიცავს ქართულ ჟესტურ ენას - ეს არის ენობრივი უმცირესობების ენა. ასევე ქართული ტაქტილური ენაც არ მოიაზრება აქ. ან უნდა ამოვიღოთ სიტყვა „ეთნიკური“, ან უნდა დაემატოს ენობრივი უმცირესობები (შესაბამისი ნარატივით) ან უფრო კონკრეტულად ჩავწეროთ ქართული ჟესტური და ტაქტილური ენები.	ნაწილობრივ აისახა	ქართული ჟესტური ენის საკითხები განხილულია ენობრივი ფუნქციონირების ნაწილში, სტრატეგიის პირველ ამოცანაში. შემოთავაზებული ამოცანის სახელწოდება კი უცვლელი დარჩა.
ამოცანა 6	79	ენის გაციფრულების პროცესში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის მონაცემები. ბევრი, ბევრი მონაცემი. Crowd Source და Citizen Science მეთოდებით შეგვიძლია მონაცემების	აისახა	

		<p>მოგროვება. მაგალითად, Common Voice (<a href="https://commonvoice.mozilla.org/ka">commonvoice.mozilla.org/ka</a>) პლატფორმაზე ხდება მეტყველების ნიმუშების აუდიო ჩანაწერების ჩაწერა და შემოწმება.</p>		
<p>სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 4.</p>	80	<p>ხელმისაწვდომობის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა არის მრავალფეროვანი ონლაინ ბიბლიოთეკების შექმნა, რომლებზეც თავისუფალი წვდომა იქნება. აქაც, სიმარტივისთვის უკვე არსებული პლატფორმები ჯობია გამოვიყენოთ, მაგალითად, StoryWeaver (<a href="https://storyweaver.org.in">storyweaver.org.in</a>). ეს პლატფორმა განკუთვნილია ზუსტად მაგისტრის — ხელი შეუწყოს წიგნიერების განვითარებას. ღია პლატფორმაა, რომელზეც შეიძლება საბავშვო ისტორიების და ზღაპრების ატვირთვა (ქართულ, აფხაზურ, ქართველურ და ეროვნული უმცირესობების ენებზე). ასევე, არსებული (დღეისთვის 35 000-ზე მეტი) ისტორიების თარგმნა არის შესაძლებელი.</p>	არ აისახა	<p>StoryWeaver-ზე ქართული საბავშვო წიგნების განთავსებისა და თარგმანის მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი წლების სამოქმედო გეგმებში ასახვის მიზნით.</p>
<p>სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 4</p>	81	<p>დუოლინგო (<a href="https://duolingo.com">duolingo.com</a>) არის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული უფასო ციფრული რესურსი უცხო ენის სწავლისთვის. ნახევარი მილიარდი დარეგისტრირებული მომხმარებელი და 40 მილიონი ყოველთვიური აქტიური მომხმარებელი ჰყავთ. სამწუხაროდ, ამ პლატფორმაზე ჯერ კიდევ არ არის ქართული ენა (არც სხვა ენების სწავლა არის შესაძლებელი ქართული ენის გამოყენებით). ამ პლატფორმას აქვს პოტენციალი, იყოს ცენტრი ბევრი სხვადასხვა ენის სასწავლო კურსისთვის.</p>	არ აისახა	<p>სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მუშაობს აღნიშნულ პლატფორმაზე ქართული და აფხაზური ენების დისტანციური კურსების განთავსების მიზნით.</p>
<p>ლოგიკური ჩარჩო</p>	82	<p>„პროგრამა-სტრატეგიის“ განხორციელების ინსტრუმენტია ორწლიანი სამოქმედო გეგმები (2021-2022, 2023-2024, 2025-2026, 2027-2028, 2029-2030 წწ). ვფიქრობთ, ეს სამოქმედო გეგმები უნდა იყოს დღეს ცნობილი; თუნდაც პირველი ეტაპისა (2021 – 2022 წ.წ., რომელიც ნახევარი</p>	არ აისახა	<p>დოკუმენტს ახლავს დანართი სამოქმედო გეგმის სახით, რომელშიც გარკვევით წერია ყველა შესასრულებელი აქტივობა 2021-2022 წლებისათვის.</p>

		<p>უკვე გავიდა)... –„განახლება“... „შემუშავდება“... „გატარდება“... რომელ ეტაპს შეეხება?... მით უმეტეს, კანონის მიღებიდან თუ დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე ბევრი დაპირება შეუსრულებელი დარჩა...</p>		
<p>სიტუაციის ანალიზი, ამოცანა 6, სამოქმედო გეგმა</p>	83	<p>Brawl Stars არის თამაში, რომელიც საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც (Play Store-ზე მე-3 ადგილზეა თამაშების Top grossing კატეგორიაში). ზუსტი მონაცემები არ მაქვს, მაგრამ, მგონი, არ იქნება გაზვიადებული ვარაუდი, რომ საქართველოში როგორც მინიმუმ 10-დან 1 ბავშვი, ან მოზარდი თამაშობს მაგ თამაშს; მაგ თამაშში არიან, მაგრამ ქართული ენა არ არის მანდ. იგივე ვითარება არის TikTok-ის შემთხვევაში. ამ აპლიკაციას 10-დან 1 მოზარდზე ბევრად მეტი იყენებს, ალბათ ყოველი მე-2, მეტი თუ არა. აქაც – ქართულ ენაზე TikTok-ს ვერ გამოიყენებ; არ არის.</p>	არ აისახა	<p>აღნიშნულ შემთავაზებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი წლების სამოქმედო გეგმებში ასახვის მიზნით.</p>